

სს „სილქ როუდ ბანკი“

ფინანსური ანგარიშგება

31.12.2019.წ

სს „სილქ როუდ ბანკი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბერი 2019

(ლარებში)

	31.12.2019	31.12.2018
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21,064,159	20,073,137
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	2,991,438	2,182,898
კლიენტებზე გაცემული სესხები	13,906,235	15,987,063
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:		
- გასაყიდად გამიზნული	-	-
- დაფარვის ვადამდე ფლობილი	20,052,832	13,637,248
ძირითადი საშუალებები	19,153,022	18,188,669
სხვა აქტივები	1,649,805	822,690
არამატერიალური აქტივები	35,640	56,368
მოგების საგადასახადო აქტივი	54,936	54,936
გასაყიდად არსებული აქტივები	3,686,889	4,916,317
სულ აქტივები	82,594,955	75,919,326
ვალდებულებები		
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	17,920,617	12,892,663
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	103,946	133,946
სხვა ვალდებულებები	1,275,174	872,059
სულ ვალდებულებები	19,299,737	13,898,668
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	61,146,400	61,146,400
მიწის და შენობების გადაფასების რეზერვი	8,578,199	7,322,225
გაუნაწილებელი მოგება	(6,429,381)	(6,447,967)
მთლიანი კაპიტალი	63,295,218	62,020,658
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	82,594,955	75,919,326

გენერალური დირექტორის მოადგილე
ფინანსური მიმართულებით:

ბ.კვეზერელი

სს „სილქ როუდ ბანკი“

მოგება-ზარალის ანგარიშგება

31 დეკემბერი 2019

(ლარებში)

	31.12.2019	31.12.2018
საპროცენტო შემოსავალი	5,069,696	4,236,564
კლიენტებზე გაცემული სესხებიდან	2,803,859	3,008,867
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	710,661	364,475
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	1,555,176	863,222
საპროცენტო ხარჯი	(291,003)	(586,595)
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	(288,162)	(137,410)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	(2,841)	(449,185)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	4,778,693	3,649,969
სესხების გაუფასურების რეზერვი	(463,563)	(2,934,000)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების გაუფასურების რეზერვის გათვალისწინებით	4,315,130	715,969
საკომისიო შემოსავალი	463,400	744,975
საკომისიო ხარჯი	(129,167)	(221,389)
წმინდა საკომისიო მოგება	334,233	523,586
წმინდა მოგება უცხოური ვალუტიდან	1,162,025	507,131
წმინდა ზარალი ქონების გაყიდვიდან	(36,310)	(397,475)
დანაკარგების გასაყიდად არსებულ აქტივების გაუფასურების რეზერვი	(73,756)	(1,452,728)
სხვა შემოსავალი	37,517	370,546
არასაპროცენტო შემოსავალი	1,423,710	(448,940)
ბანკის პერსონალის ხარჯი	(2,367,737)	(1,847,657)
ადმინისტრაციული ხარჯები	(3,500,686)	(3,636,956)
არასაპროცენტო ხარჯი	(5,868,423)	(5,484,613)
(ზარალი)/მოგება გადასახადით დაბეგვრამდე	(129,584)	(5,217,584)
მოგების გადასახადის სარგებელი / (ხარჯი)	-	527,623
წლის წმინდა მოგება	(129,584)	(4,689,961)
სხვა სრული შემოსავალი		
მიწის და შენობების გადაფასება	1,402,418	2,489,898
სხვა სრული შემოსავლის კომპონენტებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი	-	(382,985)
სულ, სხვა სრული შემოსავალი	1,402,418	2,106,913
სულ, წლის სრული ზარალი	1,272,834	(2,583,048)

სს „სილქ როუდ ბანკი“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

31 დეკემბერი 2019
(ლარებში)

	საწესდებო კაპიტალი	მიწის და შენობების გადაფასების რეზერვი	მოგება / ზარალი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2017 წ.	30,000,000	5,320,732	(2,262,684)	33,058,048
				-
ბრუნვა 01.01.2018-31.12.2018	31,146,400	2,001,493	(4,185,283)	28,962,610
				-
31 დეკემბერი 2018 წ.	61,146,400	7,322,225	(6,447,967)	62,020,658
				-
ბრუნვა 01.01.2019-31.12.2019	-	1,255,974	18,586	1,274,560
				-
31 დეკემბერი 2019 წ.	61,146,400	8,578,199	(6,429,381)	63,295,218

სს „სილქ როულ ბანკი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

31 დეკემბერი 2019

(ლარებში)

	31.12.2019	31.12.2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტი	4,113,625	4,116,247
გადახდილი პროცენტი	(300,346)	(586,592)
მიღებული საკომისიო	463,400	746,204
გადახდილი საკომისიო	(129,167)	(221,389)
უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან რეალიზებული წმინდა მოგება	322,528	951,050
სხვა მიღებული შემოსავლები	(192,533)	371,005
გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	(2,367,737)	(1,847,657)
გადახდილი სხვა საოპერაციო თანხები	(2,948,136)	(3,050,011)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	(1,038,368)	478,857
<i>საოპერაციო აქტივების წმინდა ზრდა/კლება</i>		
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(850,980)	(14,000)
კლიენტებზე გაცემული სესხები	3,084,734	(12,446,553)
სხვა აქტივები	(998,703)	(153,647)
<i>საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/კლება</i>		
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	5,001,766	(2,546,445)
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	291,567	183,000
სხვა ვალდებულებები		
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	6,528,383	(14,977,645)
<i>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა	(5,040,477)	(10,682,983)
შემოსულობა/ზარალი ქონების გაყიდვიდან	558,518	7,261,000
ძირითადი საშუალებების შეძენა	(78,967)	(21,009)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	-	-
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(4,560,926)	(3,442,992)
სუბორდინირებული სესხის მიღება	-	(8,990,000)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	31,146,400
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული / გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	-	22,156,400
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	61,934	(114,887)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/კლება	991,023	4,099,733
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	20,073,137	15,973,404
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	21,064,159	20,073,137

სს „სილქ როულ ბანკის“ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

სს „სილქ როულ ბანკი“ იმართება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ და თავის საქმიანობას ახორციელებს # 238 ლიცენზიის საფუძველზე: იღებს ანაბრებს მოსახლეობისგან, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის კორპორატიულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას. ბანკის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ზაარბრუკენის მოედანი, 2.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციონერები არიან:

<i>აქციონერი</i>	<i>12.2019,%</i>	<i>12.2018,%</i>
ფინანსური ჯგუფი „სილქ როული“ (საქართველო)	99.99	99.99
სხვა	0.01	0.01
სულ	100.00	100.00

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში მოხსენიებული, როგორც „ფასს“) შესაბამისად და წარმოდგენილია ლარებში.

ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც აქვთ ფიქსირებული ან განსაზღვრადი დაფარვების გრაფიკი და ფიქსირებული ვადა, კლასიფიცირდება, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები, თუ ბანკს აქვს დაფარვის ვადამდე მათი ფლობის სურვილი და შესაძლებლობა.

სესხები და მისაღები ანგარიშები

სესხები და მისაღები ანგარიშები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხების და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები ის არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებიც გამიზნულია გასაყიდად ან არ არის გათვალისწინებული რომელიმე ზემოხსენებულ კატეგორიაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, ეროვნული ბანკისადმი მოთხოვნების (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც აქვთ გამოცემიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში

ბანკის სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სარგებლის განაკვეთის მქონე სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომელთა გამოყენებაც ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად არ არის ხელმისაწვდომი.

ფინანსური ვალდებულებები ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე საკონტრაქტო გარიგებების შედეგად ბანკს წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს ცენტრალური ბანკის, საკრედიტო დაწესებულებებისა და კლიენტების წინაშე.

ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ბანკი გასცემს კრედიტებთან დაკავშირებულ გარანტიებს, ძირითადად აკრედიტივებსა და ფინანსურ გარანტიებს. ასეთი გარანტიები არის ისეთივე საკრედიტო რისკის მატარებელი, როგორცაა - სესხები.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების მოცულობა. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	<u>წელი</u>
შენობა-ნაგებობები	50
ავეჯი და მოწყობილობები	4-10
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	4-10
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა	4-10

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკის მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია შემოსავლის სათანადო სიზუსტით შეფასება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	31/12/2019	31/12/2018
საკორესპონდენტო ანგარიშები სებ-ში	223,077.00	1,579,632.00
90 დღემდე ვადიანი დეპოზიტი საკრედიტო დაწესებულებები	3,000,000.00	7,000,000.00
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	3,821,238.00	5,051,511.00
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	14,019,845.00	6,455,075.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21,064,160.00	20,086,218.00

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

	31/12/2019	31/12/2018
ვადიანი ანაზრები 90 დღეზე მეტი ვადით	42,902.00	0
სავალდებულო რეზერვები ცენტრალურ ბანკში	2,948,536.00	2,142,711.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,991,438.00	2,142,711.00

მომხმარებლებზე გაცემული სესხები

„მომხმარებლებზე გაცემული სესხები“-ს მუხლი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასულ მოხმარებლებზე გაცემულ სესხებს; ისინი თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული ზრდადი პირდაპირი გარიგების ხარჯები, და მაშასადამე მათი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

მომხმარებლებზე გაცემული სესხები მოიცავს „სესხები და მოთხოვნებად“ კლასიფიცირებულ სესხებს.

მომხმარებლებზე გაცემული სესხები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

	31/12/2019	31/12/2018
სახელმწიფო სახაზინო ობლიგაციები	16,994,481.00	13,617,248.00
კორპორაციული სავალო ფასიანი ქაღალდები	3,058,351.00	0.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20,052,832.00	13,617,248.00

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების მუხლი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ სასესხო საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს; თავდაპირველად ფასდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ზრდადი პირდაპირი გარიგების ხარჯები, ხოლო შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა აქტივები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა აქტივები შედგებოდა:

დებიტორული დავალიანება - 1,280,622.00 ლარი
ავანსები - 314247 ლარი
საგადასახადო აქტივები - 54,936 ლარი

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 611,464 ნებადართული და მთლიანად განაღდებული აქციებისგან. თითო აქციის ნომინალური ღირებულება ასი ლარი იყო.

დივიდენდები

2018 და 2019 წლებში ბანკს დივიდენდები არ გამოუცხადებია და არც გადაუხდია.

გადაფასების რეზერვი

მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი გამოიყენება მიწისა და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების გაზრდის და შემცირებების აღრიცხვისათვის, იმ პირობით, თუ ამგვარი შემცირება უკავშირდება კაპიტალში ადრე ასახული იმავე აქტივის ზრდას.

სს „სილქ როუდ ბანკის“ ინფორმაცია საბროკერო საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული კლიენტების ტრანზაქციების ჯამურ რაოდენობაზე

2019 წლის მეოთხე კვარტალში განხორციელდა 1 საბროკერო ტრანზაქცია. ტრანზაქციების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 828000 ლარი და 0 ცალი აქცია.